Nuffic-ის საგრანტო პროექტი №TMT-348-GEO (25.03.2014)

სასწავლო კურსი „გარემოსდაცვის საკითხები უმაღლესი განათლების საინჟინრო სწავლებაში გლობალური დათბობის ფონზე“.

საგრანტო პროექტის ფარგლებში სამ მოდულად ჩატარებული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების ტრეინინგები. კერძოდ:

- ✓ 1-ლი მოდული - ***აგრო-ეკოსისტემების პროცესები***, ტრეინინგის ჩატარების ადგილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), თბილისი, საქართველო;
- ✓ 2-ე მოდული - ***გარემოს დაგეგმარება,*** ტრეინინგის ჩატარების ადგილი - სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტი (სეაუ), ერევანი, სომხეთი;
- ✓ 3-ე მოდული - ***გარემოს პოლიტიკის განხორციელება და შეფასება,*** ტრეინინგის ჩატარების ადგილი - ქ. დელფტის წყლის განათლების ინსტიტუტი (IHE-Unesco), დელფტი, ნიდერლანდები.

ტრეინინგის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა კვალიფიკაციის ამაღლება ხუთი მონაწილე უნივერსიტეტისათვის: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (თსუ), სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტი (სეაუ) სომხეთი, ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ეამსუ) და ქ. დელფტის წყლის განათლების ინსტიტუტი (IHE-Unesco), რაც გამოიხატება საფუძვლიანი ცოდნისა და გამოცდილების გადმოცემით წყლის მენეჯმენტის სხვადასხვა სექტორში. ტრეინინგებმა ხელი შეუწყო ხუთ უნივერსიტეტსა და ევროპის წამყვან უნივერსიტეტს/ექსპერტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილების გაზიარებაში.

ტრეინინგებმა განამტკიცა ხუთი მონაწილე უნივერსიტეტის როლი მათი ქვეყნების მდგრადი განვითარების ხელშეწყობასა და მხარდაჭერაში უმაღლესი განათლების, პროფესიული გადამზადებისა და კვლევის ექსპერტიზის თვალსაზრისით. კერძოდ, იმ სექტორში, რომელსაც გააჩნია საერთო მწვავე პრობლემები სამხრეთ კავკასიის ყველა რეგიონისათვის და განსაკუთრებით ტრანსასაზღვრო გარემოსა და წყლის რესურსების მართვის სფეროში.